

კლიმატური წიგნიერება სკოლაში

DOI: 10.52340/erp.2024.05.27

აბსტრაქტი

მდგრადი განვითარების გზაზე მე-13 მიზანი - „კლიმატის მდგრადობის მიღწევა“ მრავალწახნაგოვან საკითხს და კომპლექსურ გამოწვევას წარმოადგენს, რომელიც მთელს მსოფლიოს პრობლემის წინაშე აყენებს, მაგრამ, ამავე დროს, აერთიანებს ამ პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიების მიზნით.

საგანმანათლებლო სივრცეში ერთერთი მთავარი მიზანი კლიმატურად წიგნიერი თაობის მომზადებაა, რომლის საფუძველზეც ადამიანებს შეეძლებათ გაიგონ კლიმატის კრიზისის შედეგები და იპოვონ გადაწყვეტილებები მის დასაძლევად.

განათლება კლიმატის ცვლილების შესახებ ანუ კლიმატური წიგნიერება საზოგადოების და კონკრეტულად თითოეული ჩვენთაგანის კლიმატზე გავლენას და პირიქით - კლიმატის ჩვენზე და საზოგადოებაზე გავლენას მოიაზრებს.

კლიმატური წიგნიერება თითოეული ადამიანისთვის მეტად მნიშვნელოვანი უნარია, რათა მათ სწორი გადაწყვეტილებები მიიღონ და გააზრებულად იმოქმედონ გარემოსთან მიმართებაში.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა უნდა იყოს მოქმედებაზე ორიენტირებული. მოსწავლეთა წახალისება და მათი მოტივირება მოქმედებისთვის მზადყოფნის მიმართულებით სამ კომპონენტს მოიცავს: 1. მოქმედების შესახებ სწავლა (მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ ცოდნა და უნარები, რომლებიც მათ სჭირდებათ იმისთვის, რომ იყვნენ წარმატებულები); 2. მოქმედების საშუალებით სწავლა - მივცეთ მოსწავლეებს საშუალება თავად დაგვემონ და გაახორციელონ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებასთან დაკავშირებული პროექტები; 3. მოქმედების საფუძველზე სწავლა - მივცით მოსწავლეებს საშუალებაა გააანალიზონ საკუთარი მიღწევები, შეძენილი ცოდნა და, ასევე, იმსჯელონ იმაზე, თუ შემდეგ ჯერზე რას გააკეთებენ უკეთ.

ამრიგად, კლიმატურად წიგნიერმა ადამიანმა იცის დისპოზიციები (როგორ უპასუხოს), აქვს კომპეტენციები (უნარები და შესაძლებლობები იმის შესახებ, თუ როგორ და როდის) და იქცევა, როგორც ეკოლოგიურად პასუხისმგებელი ადამიანი.

საკვანძო სიტყვები: განათლება მდგრადი განვითარებისთვის, კლიმატის ცვლილება, სწავლება კლიმატისთვის.

მდგრადი განვითარების გზაზე მე-13 მიზანი - „კლიმატის მდგრადობის მიღწევა“ მრავალწახნაგოვან საკითხს და კომპლექსურ გამოწვევას წარმოადგენს, რომელიც მთელს მსოფლიოს პრობლემის წინაშე აყენებს, მაგრამ, ამავე დროს, აერთიანებს კიდეც ამ პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიების მიზნით.

საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი მთავარი მიზანი კლიმატურად წიგნიერი თაობის მომზადებაა, რომელთაც შეეძლებათ გაიაზრონ კლიმატის კრიზისის შედეგები და იპოვონ გადაწყვეტილებები მის დასაძლევად.

განათლება კლიმატის ცვლილების შესახებ ანუ კლიმატური წიგნიერება საზოგადოების და კონკრეტულად თითოეული ჩვენთაგანის კლიმატზე გავლენას და პირიქით - კლიმატის ჩვენზე და საზოგადოებაზე გავლენას მოიაზრებს.

კლიმატური წიგნიერება ის ცოდნა და უნარებია, რომელიც კლიმატის ცვლილებას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება და რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს მოიცავს. ესენია:

- ცოდნა: კლიმატის ცვლილების მიზეზების, შედეგებისა და პოტენციური გადაწყვეტილებების გააზრება.
- ინფორმაციის ანალიზი: სამეცნიერო მონაცემებისა და კვლევების კრიტიკული შეფასების უნარი.
- მოქმედება: ინდივიდუალური და კოლექტიური ქმედებების მნიშვნელობის გაცნობიერება კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის.
- კომუნიკაცია: კლიმატთან დაკავშირებული საკითხების ეფექტურად განხილვის უნარი.

- გადაწყვეტილების მიღება: კლიმატზე დაფუძნებული ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება ყოველდღიურ ცხოვრებასა და პოლიტიკაში.

კლიმატური წიგნიერების სწავლება რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გამო არის აუცილებელი:

1. დედამიწაზე მიმდინარე გლობალური კლიმატური ცვლილებები სერიოზული გამოწვევაა, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს ჩვენს პლანეტაზე და მომავალი თაობების ცხოვრებაზე. კლიმატური წიგნიერება ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას, უკეთ გაიგონ ამ ცვლილებების მიზეზები, შედეგები და საჭირო ზომები მათი შემცირებისა და/ან ადაპტაციისთვის.

2. კლიმატური წიგნიერება ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას ისეთი ინფორმირებული გადაწყვეტილებები მიიღონ, რომლებიც ორიენტირებულია და მიმართულია მდგრადი განვითარებისკენ. ეს ცოდნა ეხმარება მათ განიხილონ გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ასპექტები გადაწყვეტილების მიღებისას. გარდა ამისა, კლიმატური წიგნიერება ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკების გაგებას და პრევენციას და ემოციური მდგრადობის გაძლიერებას: ეხმარება ადამიანებს გაუმკლავდნენ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ შფოთვისა და სტრესს.

3. კლიმატური წიგნიერების სწავლება ხელს უწყობს პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებას, რაც აუცილებელია რთული და კომპლექსური გარემოსდაცვითი საკითხების მოსაგვარებლად.

4. კლიმატურად წიგნიერი ადამიანები საკითხს გლობალური პერსპექტივიდან ხედავენ და აცნობიერებენ, რომ კლიმატური პრობლემები არ არის მხოლოდ ერთი ქვეყნის ან რეგიონის საკითხი. პირიქით, ისინი საერთო პასუხისმგებლობას იზიარებენ მსოფლიოს ყველა სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანების მიმართ და აცნობიერებენ, რომ გლობალური თანამშრომლობა მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია კლიმატის პრობლემების გადასაჭრელად.

5. სწორი ცოდნის მიღება და კლიმატური საკითხების მიმართ ცნობიერების ამაღლება ხელს უწყობს ადამიანების ქცევის შეცვლას, რათა ისინი უფრო პასუხისმგებლიანად

მოექცნენ გარემოს და რესურსებს. გარდა ამისა, მდგრადი მომავლის უზრუნველყოფად ამზადებს მომავალ თაობებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევებისთვის.

6. კლიმატურად წიგნიერი ადამიანები უფრო აქტიურები ხდებიან და მათ აქვთ სრული მზაობა იმისათვის, რომ ჩაერთონ კლიმატთან დაკავშირებულ პოლიტიკურ დისკუსიებში. კლიმატურად წიგნიერი ადამიანების წინაშე ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები და ახალი სამუშაო ადგილები იქმნება. ასევე ხდება ინოვაციების წახალისება, რაც მწვანე ტექნოლოგიებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებასა და დანერგვას გულისხმობს.

კლიმატური წიგნიერების სწავლებასთან დაკავშირებით არაერთი კვლევაა ჩატარებული, მათ შორის აღსანიშნავია National Research Council-ის (NRC) მიერ ჩატარებული კვლევები აშშ-ში, UN-ის მიერ ჩატარებული კლიმატური წიგნიერების პროგრამების შეფასებები განვითარებად ქვეყნებში და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის განათლების სისტემების კვლევები, რომლებიც აჩვენებენ, რომ კლიმატური განათლება ხელს უწყობს ახალგაზრდების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და ხაზს უსვამს მისი მნიშვნელობისა და ეფექტურობის გაზრდის აუცილებლობას. ეს კვლევები ადასტურებს, რომ კლიმატური წიგნიერების სწავლება მნიშვნელოვანი კომპონენტია მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბების გზაზე, რაც მომავალ თაობებს უკეთესად მოამზადებს კლიმატური გამოწვევების შესახვედრად.

ჩატარებული კვლევების მეშვეობით რამდენიმე ძირითადი ტენდენცია გამოიკვეთა:

1. კვლევებმა აჩვენა, რომ კლიმატური წიგნიერების სწავლებას შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს მოსწავლეთა ცოდნა კლიმატური ცვლილებებისა და მათი შედეგების შესახებ. მაგალითად, National Center for Science Education-ის მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ კლიმატური საკითხების სწავლებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს მოსწავლეთა ცოდნა და გააუმჯობესოს მათი გაგება კლიმატური მეცნიერების შესახებ.

2. კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ კლიმატური წიგნიერების გაძლიერება ხელს უწყობს მოქალაქეობრივ აქტივობას და პასუხისმგებლობის გრძნობის გააქტიურებას

გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში. ეს ხელს უწყობს ახალგაზრდების ჩართულობას გარემოსდაცვითი აქტივობებში და გადაწყვეტილებების მიღებაში.

3. კვლევების ნაწილი მიუთითებს, რომ კლიმატური წიგნიერების სწავლებამ შეიძლება გამოიწვიოს ქცევის ცვლილება, როგორცაა ენერჯის დაზოგვა, ნარჩენების შემცირება და რესურსების მდგრადი გამოყენება. მაგალითისთვის, 2020 წელს აშშ-ში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კლიმატური განათლების გაძლიერებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ინდივიდების მონაწილეობას კლიმატური ცვლილებების საწინააღმდეგო აქტივობებში.

4. ზოგიერთი კვლევის მიხედვით კლიმატური წიგნიერების სწავლებამ შეიძლება გარკვეულ შემთხვევაში ფსიქოლოგიური სტრესიც კი გამოიწვიოს, თუ მას არ ახლავს მხარდაჭერა და პოზიტიური მოქმედების გზების ჩვენება. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ განათლება იყოს ბალანსირებული და დაეხმაროს მოსწავლეებს გაუმკლავდნენ შიშსა და დაუცველობის გრძნობას.

კლიმატური წიგნიერების სწავლება მნიშვნელოვანი და კომპლექსური საკითხია. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების სწავლება უნდა იყოს მოქმედებაზე ორიენტირებული. მოსწავლეთა წახალისება და მათი მოტივირება მოქმედებისთვის მზადყოფნის მიმართულებით სამ კომპონენტს მოიცავს:

1. მოქმედების შესახებ სწავლა (მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ ცოდნა და უნარები, რომლებიც მათ სჭირდებათ იმისთვის, რომ იყვნენ წარმატებულები);

2. მოქმედების საშუალებით სწავლა - მივცეთ მოსწავლეებს საშუალება თავად დაგეგმონ და გაახორციელონ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებასთან დაკავშირებული პროექტები;

3. მოქმედების საფუძველზე სწავლა - მივცეთ მოსწავლეებს საშუალებაა გააანალიზონ საკუთარი მიღწევები, შეძენილი ცოდნა და, ასევე, იმსჯელონ იმაზე, თუ შემდეგ ჯერზე რას გააკეთებენ უკეთ.

კლიმატური წიგნიერების სწავლებისას მნიშვნელოვანია ინტეგრირებული კურიკულუმის მომზადება, სადაც მოხდება კლიმატის საკითხების ჩართვა სხვადასხვა საგნებში (გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია და სხვ.) და ინტერდისციპლინური პროექტების დანერგვა.

კლიმატის ცვლილების შესასწავლად სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები უნდა იყოს გამოყენებული, მათ შორის სავსე გასვლები და ექსპერიმენტები, რეალური მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია, ინტერაქტიული სიმულაციები და მოდელები, დისკუსიები და დებატები კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად და სხვადასხვა პერსპექტივის განსახილველად, პრობლემაზე პროექტზე დაფუძნებული სწავლება (მაგალითად, ადგილობრივი კლიმატური პრობლემების კვლევა და გადაწყვეტილებების შემუშავება და პრეზენტაცია), თანამშრომლობა ექსპერტებთან, მეცნიერებისა და აქტივისტების მოწვევა და ვირტუალური ტურები კვლევით დაწესებულებებში.

კლიმატის ცვლილების სწავლებისას მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიების (ონლაინ რესურსებისა და ვიდეო მასალების) გამოყენება და მედიაწიგნიერებასთან ინტეგრირება (კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის კრიტიკული შეფასება).

კლიმატური წიგნიერების სწავლება სხვადასხვა ფორმით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია დანერგილი და სკოლის პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილია. მაგალითად, შვედეთსა და ფინეთში კლიმატური წიგნიერება ინტეგრირებულია ეროვნულ სასწავლო პროგრამებში დაწყებითი და საშუალო საფეხურზე. აქ დიდ ყურადღებას აქცევენ ისეთ საკითხებს, როგორცაა მდგრადი განვითარება და კლიმატური ცვლილებები. მოსწავლეებს ასწავლიან კლიმატური სისტემების საფუძვლებს, მიტიგაციას, ადაპტაციას და იმის მნიშვნელობას, თუ როგორ მოქმედებენ ადამიანები გარემოზე. მასწავლებლები იყენებენ სწავლების ისეთ ინტერაქტიულ მეთოდებს, როგორცაა პროექტებზე დაფუძნებული სწავლება და პრობლემების გადაჭრის ამოცანები - ქეისებითა და დილემებით სწავლება. ფინეთში ხშირად ყურადღებას ამახვილებენ ადგილობრივი და გლობალური კლიმატური გამოწვევების ანალიზზე და პრაქტიკულ ქმედებებზე.

2019 წელს იტალია ევროპაში პირველი ქვეყანა იყო, სადაც კლიმატური წიგნიერება სასწავლო პროგრამაში სავალდებულო საგნად შეიტანეს. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში 33 საათი კლიმატური ცვლილებების შესახებ გაკვეთილებს ეთმობა. სწავლება ფოკუსირებულია კლიმატური სისტემების, ეკოსისტემების, კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ სოციალური და ეკონომიკური ასპექტების შესწავლაზე.

კანადაში კლიმატური წიგნიერება ფართოდ არის ინტეგრირებული სასწავლო პროგრამაში, განსაკუთრებით ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციაში. სწავლებისას ძირითადი აქცენტი კეთდება კლიმატური მეცნიერების, მდგრადი განვითარებისა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის საკითხებზე. მოსწავლეებს ასწავლიან ადგილობრივ და გლობალურ დონეზე კლიმატური ცვლილებების შედეგების შეფასებას.

საფრანგეთში კლიმატური წიგნიერება ასევე ინტეგრირებულია სასწავლო პროგრამაში და დიდი ყურადღება ექცევა ისეთი საკითხების სწავლებას, როგორცაა ბიომრავალფეროვნება, მდგრადობა და ენერჯის გამოყენება, კლიმატის ცვლილება და წყლის რესურსები. 2020 წელს საფრანგეთში განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით კლიმატური განათლება სკოლაში ყველა საფეხურზე სავალდებულო საგანი გახდა.

ავსტრალიაში კლიმატური წიგნიერება გეოგრაფიის, მეცნიერებისა და მოქალაქეობის საგნებშია ინტეგრირებული. აქ დიდი ყურადღება ექცევა ადგილობრივი კლიმატური ცვლილებების შესწავლას და მოსწავლეებს ასწავლიან კლიმატურ ცვლილებებთან ადაპტაციის სტრატეგიებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავსტრალიისთვის, სადაც ხშირია ისეთი ბუნებრივი კატასტროფები, როგორცაა ტყის ხანძრები და გვალვები.

გაერთიანებულ სამეფოში კლიმატური წიგნიერება მეცნიერებისა და გეოგრაფიის საგნებშია შეტანილი. აქ სწავლება ფოკუსირებულია კლიმატური სისტემების, ენერჯის რესურსების და გარემოსდაცვითი მართვის საკითხებზე. ასევე არსებობს ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობენ კლიმატური ცვლილებების თემების ინტეგრირებას სხვა საგნებში.

შოტლანდიაში კლიმატური წიგნიერება განიხილება როგორც "Curriculum for Excellence"-ის ნაწილი, რომელიც გულისხმობს, რომ ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი ცოდნა გარემოსდაცვით საკითხებზე. კლიმატური განათლების ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან, თუ როგორ იყენებენ მეცნიერები მონაცემებს კლიმატური ცვლილებების პროგნოზირებისთვის და როგორ შეუძლია ინდივიდებსა და საზოგადოებებს შეამცირონ მათი გავლენა გარემოზე.

კოსტა რიკაში კლიმატური წიგნიერება ასევე სასწავლო პროგრამის ნაწილია და ყურადღება გამახვილებულია ეკოლოგიურ მდგრადობაზე და კლიმატური ცვლილებების

გავლენაზე ტროპიკულ ეკოსისტემებზე. ქვეყანა ცნობილია თავისი ინოვაციური მიდგომით გარემოსდაცვით განათლებაში, რაც მოიცავს პრაქტიკულ სამუშაოებს და ადგილობრივი რესურსების გამოყენებას.

ნათელია, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კლიმატური წიგნიერება სასწავლო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. თითოეული ქვეყანა განსხვავებულ მიდგომებს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებმა მიიღონ შესაბამისი ცოდნა და უნარები კლიმატური ცვლილებების შესახებ, რაც აუცილებელია მათთვის, რომ გაუმკლავდნენ გლობალურ გამოწვევებს მომავალში.

საქართველოში კლიმატური წიგნიერების სწავლება ჯერ კიდევ განვითარებისა და დანერგვის პროცესშია, თუმცა ბოლო წლებში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში კლიმატური საკითხები ძირითადად ინტეგრირებულია ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის საგნებში. ეს თემები მოიცავს კლიმატური ცვლილებების ფუნდამენტურ ასპექტებს, ბიომრავალფეროვნებას, ეკოლოგიურ მდგრადობას და ენერგორესურსების გამოყენებას. თუმცა, ამ თემების გაშუქება ჯერ კიდევ საკმაოდ ლიმიტირებულია და სიღრმისეულად არაა მოცული.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საქართველოში სამოქალაქო ორგანიზაციები და გარემოსდაცვითი აქტივისტები აქტიურად მუშაობენ კლიმატური წიგნიერების გასაძლიერებლად. ისინი ხშირად მართავენ ტრენინგებს, სემინარებს და სასწავლო პროგრამებს სკოლებისა და უნივერსიტეტებისთვის. მაგალითად, „ვიზრუნოთ საქართველოს სისუფთავეზე“, "მწვანე ალტერნატივა" და სხვა გარემოსდაცვითი ორგანიზაციები ხელს უწყობენ გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას ახალგაზრდებში.

ჩვენს ქვეყანაში ასევე ხორციელდება რამდენიმე საერთაშორისო პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავს კლიმატური წიგნიერების გაძლიერებას. მაგალითად, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამები და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ხელს უწყობენ გარემოსდაცვითი განათლების განვითარებას ქვეყანაში. ეს პროექტები მოიცავს სასწავლო მასალების შექმნას და ტრენინგებს მასწავლებლებისთვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სხვა სახელმწიფო სტრუქტურები ცდილობენ გააუმჯობესონ კლიმატური წიგნიერება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების გზით. ამას ხელს უწყობს თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნებთან, სადაც კლიმატური განათლების სისტემები უკვე ჩამოყალიბებულია.

მიუხედავად იმისა, რომ კლიმატური წიგნიერების სწავლება საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ეტაპზეა, არსებობს მზარდი ინტერესი ამ მიმართულებით როგორც საჯარო, ისე სამოქალაქო სექტორის მხრიდან. განათლების სისტემაში უფრო ფართო და ღრმა ინტეგრაცია შესაძლებელია მომავალ წლებში, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის უკეთესად მომზადებას კლიმატური გამოწვევებისთვის.

ამრიგად, კლიმატური წიგნიერება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ საზოგადოება, განსაკუთრებით კი მომავალი თაობა, უკეთ იყოს მომზადებული კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან გასამკლავებლად და მდგრადი მომავლის შესაქმნელად. კლიმატურად წიგნიერმა ადამიანმა იცის დისპოზიციები (როგორ უპასუხოს), აქვს კომპეტენციები (უნარები და შესაძლებლობები იმის შესახებ, თუ როგორ და როდის) და იქცევა, როგორც ეკოლოგიურად პასუხისმგებელი ადამიანი.

საქართველოში კლიმატური წიგნიერების სწავლების განვითარება ჯერ კიდევ მიმდინარეობს, მაგრამ ამ სფეროში აქტიური მუშაობა და ინიციატივები უკვე შეიმჩნევა. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და განათლების სისტემაში უფრო ფართო და კომპლექსური პროგრამების დანერგვა, რათა მომავალმა თაობებმა მიიღონ საჭირო ცოდნა და უნარები კლიმატური ცვლილებების მართვისა და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Think green - Education and climate chan - <https://www.oecd-ilibrary.org/docserver/2a9a1cdd-en.pdf?expires=1724422412&id=id&acname=guest&checksum=E78FF5E4F8F67FE8B12E171017B224AC>
- OECD (n.d.), “Climate action”, in Global Teaching Insights, - <https://www.globalteachinginsights.org/>.
- The Impact of Climate Change on Education and what to do about it - <https://reliefweb.int/report/world/impact-climate-change-education-and-what-do-about-it>

Climate Change Education: How Schools Climate Change Education: How Schools in India Are Leading the Way - <https://medium.com/@priyanganivishwakarma/climate-change-education-how-schools-climate-change-education-how-schools-in-india-are-leading-4068b93256c2>
Climate Change and Education: Building Momentum through a Shared Research Agenda - <https://www.cgdev.org/publication/climate-change-and-education-building-momentum-through-shared-research-agenda>

Maya Bliadze
European University; Expert/consultant of Teachers Professional Development Center
Shorena Tkemaladze
Akaki Tsereteli State University

The importance of climate literacy in school

Abstract

On the road to sustainable development, the 13th goal - "Achieving climate sustainability" is a multi-faceted issue and a complex challenge that presents the whole world with a problem, but at the same time unites the ways to solve this problem.

One of the main goals in the education space is to prepare a climate literate generation, on the basis of these people who will be able to understand the consequences of the climate crisis and find solutions to overcome it.

Education about climate change, or climate literacy considers the impact of society and specifically each of us on the climate, and vice versa - the impact of the climate on us and society.

Climate literacy is a very important skill for every person in order to make the right decisions and act wisely in relations to the environment.

The study of issues related to the climate change must be action-oriented. To encourage and motivate students in order to be action-ready, it involves three main components: 1. Action learning - students must acquire the knowledge and skills they need to be successful; 2. Learning by doing - to allow students to plan and implement projects related to taking emergency measures against climate change and its effects; 3. Action-based learning - allow students to analyze their own achievements, acquired knowledge, and also discuss what they can do better for the next time.

Thus, a climate literate person knows dispositions (how to respond), has competencies (skills and abilities about how and when) and treats as an environmentally responsible person.

Keywords: Education for sustainable development, climate change, education for climate.